# DFF - მას ენერჯის ჰიდროელექტროსადგურები - სკურდიდი

მდებარეობა:
საქართველო

პროექტის ნომერი:
55114

ბიზნესის სექტორი:
ენერგეტიკა

შეტყობინების ტიპი:
კერძო

გარემოს დაცვის კატეგორია:
B

დამტკიცების თარიღი:
26 მარტი 2024

სტატუსი:
დამტკიცებული

პროექტის აღწერის ინგლისურ ენაზე გამოწვეყნების თარიღი:
25 აპრილი 2024

*ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის 1.4.2 (iii) ნაწილის მიხედვით: „ბანკის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული პროექტებისთვის, სადაც დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა, პროექტის აღწერა უნდა გაზიარდეს ბანკის წევრ ქვეყანასთან შესაბამისი გაუპროტესტებლობის შეტყობინების პერიოდის დასაწყისში EBRD-ის დამფუძნებელი შეთანხმების მე-13 (iii) მუხლის შესაბამისად.*

## პროექტის აღწერა

შპს მას ენერჯის დაფინანსება 1.87 მილიონამდე აშშ დოლარის ოდენობით. სესხი დააფინანსებს საქართველოში აჭარის რეგიონში მდინარე სკურდიდზე მდებარე 1.45 მეგავატი სიმძლავრის სკურდიდი 3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

## პროექტის მიზნები

საქართველოს აჭარის რეგიონში მდებარე 1.45 მეგავატი დადგმული სიმძლავრის მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დაფინანსება.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 60

კონკურენტუნარიანი: პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი სიმძლავრის განვითარებას, ელექტროენერგიის კერძო წარმოების წილის გაზრდასა და შემდგომ კონკურენციას ქვეყნის ელექტროენერგიის ბაზარზე.

მწვანე: პროექტი გამოიმუშავებს დაახლოებით 7.3 გიგავატ/სთ ელექტროენერგიას ყოველწლიურად, რაც შეესაბამება სასათბურე გაზების ემისიების მოსალოდნელ შემცირებას 990 ტონამდე წელიწადში.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს მას ენერჯი

შპს მას ენერჯი საქართველოში დარეგისტრირებული სპეციალური დანიშნულების საწარმოა, რომელიც მიზნად ისახავს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და მართვას ამ პროექტის ფარგლებში. კლიენტს ფლობს საქართველოს სამი მოქალაქე: ანგული ტყებუჩავა, მოგელი ტყებუჩავა და ალექსანდრე ბურჭულაძე.

## EBRD-ის დაფინანსება

1,870,000.00 აშშ დოლარი.

## პროექტის ჯამური ღირებულება

2,530,000.00 აშშ დოლარი.

## დამატებითი ფაქტორები

*დაფინანსების სტრუქტურა:* EBRD უზრუნველყოფს დაფინანსებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე კომერციული წყაროებიდან გონივრული პირობებით, მაგ. უფრო გრძელი საშეღავათო პერიოდით და ხანგრძლივობით პროექტის დაფინანსების სტრუქტურის ფარგლებში.

*სტანდარტების განსაზღვრა:* მსესხებელს სურს გამოიყენოს EBRD-ის ცოდნა და გამოცდილება უფრო მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებთან დაკავშირებით, რაც აღემატება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

*ცოდნა, ინოვაცია და შესაძლებლობების განვითარება:* EBRD უზრუნველყოფს გამოცდილებას, ცოდნასა და შესაძლებლობებს საქართველოს ჰიდრო სექტორში, რაც მნიშვნელოვანია პროექტის მიზნების დროული რეალიზაციისთვის.

## გარემოს დაცვისა და სოციალური შეჯამება

მინიჭებული აქვს კატეგორია B (გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა 2019): გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკები და ზემოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან, შეფასდა დამოუკიდებელი E&S ტექნიკური კვლევის (ESDD) განხორციელების გზით. ESDD-ს მიხედვით პროექტი მცირე მოცულობისაა, კაშხალი უნდა აშენდეს 2.5 მეტრზე, არ სჭირდება რეზერვუარი ან წყლის რეგულირება, ან მიწის ნაკვეთის გამოყოფა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უნებლიე ფიზიკური ან ეკონომიკური გადაადგილება. პროექტი არ მდებარეობს კანონით დაცულ ან სენსიტიურ ზონაში. პროექტი განლაგებულია არსებული ჰიდროელექტროსადგურის ქვემოთ, სადაც არ არის მოსალოდნელი დამატებითი ზემოქმედება მდინარის დინების რეჟიმზე. შემუშავებული და კლიენტთან შეთანხმებულია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოქმედების მართვისა და პროექტის კარგი პრაქტიკის შესაბამისად ექსპლუატაციისთვის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ჩათვლით.

## ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

ტექნიკური მხარდაჭერა ამ ოპერაციისთვის უზრუნველყოფილია ETC Fund-ის მიერ ტექნიკური წინასწარი კვლევის და გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) შეფასების ხარჯების დაფარვის მიზნით.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი ტყებუჩავა
i.tkebuchava@gegroup.org
საქართველო, თბილისი, ვ.დოლიძის 24, GE0171

## პროექტის აღწერის ბოლო განახლება

8 მაისი 2024

## გარდამავალი პერიოდის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია EBRD-ის მიდგომასთან დაკავშირებით გარდამავალი ზემოქმედების გაზომვის შესახებ ხელმისაწვდომია აქ.

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების ან შესყიდვის საკითხებთან დაკავშირებით, დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებით (რაც არ არის დაკავშირებული შესყიდვებთან) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168
Email: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებისთვის ეწვიეთ EBRD Procurement:

Tel: +44 20 7338 6794
Email: procurement@ebrd.com

## ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური

ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.